ევროპის ქვეყნების საპარლამენტო საარჩევნო სისტემების მოკლე მიმოხილვა

აპრილი 2015

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მისი შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს IFES-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ტერმინთა განმარტება

ტერმინები	განმარტება	წყარო
დახურული სია	სიით პროპორციული წარმომადგენლობის ფორმა, რომლის დროსაც ამომრჩევლები ხმას აძლევენ პარტიას და არ აქვთ უფლება გამოხატონ პრეფერენცია ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ პარტიული სიიდან.	http://aceproject.org/ace-en/topics/es/electoral-systems-glossary
დ'ონდტის მეთოდი	მანდატების განაწილების გამოთვლის მეთოდი სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში, რომელიც ითვალისწინებს კანდიდატების ყოველი სიის მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობის გამყოფთა განსაზღვრულ სერიაზე გაყოფას უმაღლესი საშუალოს გამოთვლის გზით. გამყოფთა სახით გამოიყენება ნატურალური რიცხვები 1, 2, 3, 4 და ა.შ. არსებულ ფორმულათა შორის ეს მეთოდი ყველაზე ხელსაყრელია დიდი პარტიებისთვის	http://aceproject.org/ace-en/topics/es/electoral-systems-glossary
დ'ონდტის კოეფიციენტი	*V*/(*s*+1), სადაც "*V*" არის სიის მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობა, ხოლო "*s*" არის პარტიის მიერ მოპოვებული ადგილები კონკრეტული ეტაპისთვის (თავდაპირველად 0 ყველა პარტიისთვის).	
უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა FPTP	უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა პლურალურ/მაჟორიტარული სისტემის უმარტივესი ფორმაა. იგი გამოიყენება ერთმანდატიან ოლქებში კანდიდატთა და არა პოლიტიკური პარტიების არჩევის დროს. უბრალო უმრავლესობის სისტემის დროს იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე (სხვებზე) მეტ ხმას მოიპოვებს იმ შემთხვევაშიც კი თუ ნამდვილი ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მოპოვებული არ არის.	http://www.idea.int/esd/glossary.cfm#

ჰეირის კვოტა	ეს არის კვოტის განსაზღვრის უმარტივესი მეთოდი პროპორციულ წარმომადგენლობის სისტემებში, რომელიც იყენებს უდიდესი ნაშთის მეთოდს; მისი გამოყენებისას ნამდვილი ხმების რაოდენობა იყოფა გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე კონკრეტულ ოლქში.	http://aceproject.org/ace-en/topics/es/electoral-systems-glossary
სიითი პროპორციული	სითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის დროს იქმნება ერთი მრავალმანდატიანი ოლქი (ქვეყნის მასშტაბით); ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთ პარტიულ სიას (პარტიას). გამარჯვებულად ითვლება ის პარტია/პარტიები, რომლებიც გადალახავენ საარჩევნო ბარიერს. ბარიერგადალახული პარტიები მიიღებენ მანდატებს მიღებულ ხმათა პროცენტების პროპორციულად. პარტიული სიიდან მანდატების მინიჭება ხდება პარტიულ სიებში მათი რიგითობის შესაბამისად (დახურულ სიებში). თუ სიები ღიაა, მაშინ ამომრჩეველს შეუძლია ადგილების გადანაწილებაზე გავლენის მოხდენა ინდივიდუალური პრეფერენციების გამოყენებით.	http://www.idea.int/esd/glossary.cfm#
ღია სია	სიით პროპორციული წარმომადგენლობის ფორმა, რომლის დროსაც ამომრჩეველი გამოხატავს პრეფერენციას როგორც პარტიის, ისე კანდიდატის/კანდიდატების მიმართ მოცემული პარტიული სიიდან. (იხ. დახურული სია)	http://aceproject.org/ace-en/topics/es/electoral-systems-glossary
პლურალისტური/ მაჟორიტარული სიტემები	სისტემა, რომლის დროსაც კანდიდატი ან პარტია პლურალისტური ხმებით (სხვებზე მეტი მიღებული ხმებით) ან აბსოლუტური უმრავლესობით ცხადდება გამარჯვებულად.	http://aceproject.org/ace-en/topics/es/electoral-systems-glossary

პროპორციული წარმომადგენლობა	საარჩევნო სისტემათა ოჯახი, რომელშიც გამოიყენება მიღებული ხმების მანდატებში პროპორციულად გარდასახვის პრინციპი. მაგალითად, პარტია რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების 30 პროცენტს, მოიპოვებს მანდატების დაახლოებით 30 პროცენტს. ყველა პროპორციული წარმომადგენლობა გამოიყენება მხოლოდ მრავალმანდატიან ოლქებში. არსებობს პროპორციული წარმომადგენლობის ორი ძირითადი ტიპი - სიითი პროპორციული წარმომადგენლობა და ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა.	http://aceproject.org/ace-en/topics/es/electoral-systems-glossary
სენ-ლაჟეს მეთოდი	მანდატების განაწილების მეტოდი სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში, როდესაც ხდება უმაღლესი საშუალოს დადგენით. იხმარება მთელი რიგი გამყოფები, რაც იმის პირობაა, რომ ყოველი მომდევნო არჩეული კანდიდატი წარმოადგენს პარტიას, რომელმაც ხმათა უმაღლესი საშუალო რაოდენობა დააგროვა. გამყოფებია: 1, 3, 5, 7 და ა.შ.	http://aceproject.org/ace-en/topics/es/electoral-systems-glossary
მარტივი კვოტა	ჰეირის კვოტის ალტერნატიული სახელწოდება, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „ბუნებრივი ბარიერი“ ან „საარჩევნო კვოტა“.	

შესავალი

ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს საარჩევნო სისტემის მოკლე მიმოხილვა შემუშავებულია საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფის თხოვნით[1]. არასაპარლამენტო პარტიების ეს ფორმატი შეიკრიბა, რათა შეიმუშაოს წინადადებები საქართველოში მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების შესახებ.

ინტერპარტიულმა ჯგუფმა თხოვნით მიმართა IFES-ს განეხილა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები საარჩევნო სისტემის ჭრილში. ქვეყნების შერჩევა მოხდა ინტერპარტიული ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: მათ უნდა ჰქონოდათ საქართველოს მსგავსი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო. წინამდებარე კვლევისთვის IFES-მა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განიხილა 10 ევროპული ქვეყნის მაგალითი.

კვლევა მოიცავს მოცემული ქვეყნების პოლიტიკური და საარჩევნო სისტემების ძირითადი ასპექტების მიმოხილვას და შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ერთგვარი ათვლის წერტილი საარჩევნო სისტემის მომავალი დიზაინის შესახებ კვლევით საქმიანობაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს დოკუმენტი წვლილს შეიტანს უფრო საფუძვლიანი და ინფორმირებული დისკუსიების გამართვაში ამ თემის ირგვლივ და გამოიყენება IFES-ის მიერშემუშავებულ სხვა დოკუმენტებთან ერთობლიობაში.

ხორვატია

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	*Hrvatski Sabor*	151	4 წელი	5%	დ'ონდტის მეთოდი	12

ხორვატიის პოლიტიკური სისტემა ეფუძნება ძალაუფლების დანაწილების პრინციპს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა შორის. კონსტიტუცია უზრუნველყოფს ხალხის უფლებას აირჩიონ საკუთარი წარმომადგენლები პირდაპირი კენჭისყრით და ასევე უფლებას ჰყავდეთ ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობა. ხორვატია განეკუთვნება იმ ერთეულ სახელმწიფოებს, რომელთაც დანერგეს საარჩევნო სისტემების ორი ძირითადი მოდელი ორ დეკადაში,

[1] ჯგუფი შედგება შემდეგი პოლიტიკური პარტიებისგან/მოძრაობებისგან: ახალი მემარჯვენეები, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, თავისუფლება, მემარცხენე ალიანსი, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის, საქართველოს ევროპელი დემოკრატები, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა, ქართული დასი, ქრისტიან დემოკრატიული პარტია.

მაჟორიტარული მოდელი და პროპორციული წარმომადგენლობა და ამ ორის კომბინირებული ვარიანტი.[2]

ხორვატიის პოლიტიკური სისტემა არის საპარლამენტო, წარმომადგენლობითი დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც მთავრობის მეთაური არის პრემიერ-მინისტრი მრავალპარტიულ სისტემაში. აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება მთავრობისა და ხორვატიის პრეზიდენტის მიერ. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ხორვატიის პარლამენტი.[3]

კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტი არის ერთპალატიანი ორგანო რომელიც შედგება 100-დან 160 დეპუტატამდე, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი წესით, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო ხმის უფლებით ფარული კენჭისყრით.[4] საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, დეპუტატები აირჩევიან პროპორციული წარმომადგენლობის მეშვეობით 12 ოლქში. 10 ოლქი ირჩევს თითოში 14 წარმომადგენელს, დიასპორის ოლქი ირჩევს 14 წარმომადგენლამდე, ხოლო ეთნიკური უმცირესობების ოლქი ირჩევს 8-ს. ადგილების განაწილება ხდება დ'ონდტის მეთოდის გამოყენებით, სადაც ბარიერი არის 5%. უნდა აღინიშნოს, რომ OSCE/ODIHR-ის (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი) ანგარიშის მიხედვით ხმის წონის თანაბრობა პრობლემას წარმოადგენს[5].

ესტონეთი

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	*Riigikogu*	101	4 წელი	5%	მარტივი კვოტა, დ'ონდტის მეთოდი	12 (4-14 მანდატი ოლქში)

კონსტიტუციის მიხედვით ესტონეთი არის დამოუკიდებელი სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხალხის მიერ. ხალხი

[2] http://www.croatia.eu/article.php?lang=2&id=26

[3] http://www.eu-croatia.org/politics

[4] OSCE/ODIHR არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული მისიის საბოლოო ანგარიში, ხორვატიის რესპუბლიკა, საპარლამენტო არჩევნები, 4 დეკემბერი 2011, გვ. 4, წყარო: http://www.osce.org/odihr/87655?download=true

[5] „ამომრჩეველთა ხმის თანაბრობა არ არის დაცული ოლქების საზღვრების ამჟამინდელი დაყოფით... რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 10 ტერიტორიული ნიშნის ოლქში არ უნდა განსხვავდებოდეს 5%-ზე მეტით, ამ არჩევნებისთვის გამოყენებული სიების შემთხვევაში განსხვავებამ შეადგინა 33 პროცენტი..." OSCE/ODIHR არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული მისიის საბოლოო ანგარიში, ხორვატიის რესპუბლიკა, საპარლამენტო არჩევნები, 4 დეკემბერი 2011, გვ. 5, წყარო: http://www.osce.org/odihr/87655?download=true

ახორციელებს თავის უმაღლეს ხელისუფლებას ესტონეთის არჩეული პარლამენტის მეშვეობით. (Riigikogu).[6]

ერთპალატიანი და 101 წევრიანი პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ 12 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული წარმომადგენლობის მეშვეობით ღია სიებით. მანდატების რაოდენობა თითოეულ ოლქში ლავირებს 5-დან 15-მდე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობიდან გამომდინარე. მანდატების განაწილება ხდება სამ ეტაპად. თავდაპირველად, ცალკეული მანდატების მინიჭება ხდება იმ კანდიდატებისთვის ვინც გადალახა მარტივი კვოტა ოლქის დონეზე. პარტიები, რომელთაც გადალახეს 5 პროცენტიანი ბარიერი მთელი ქვეყნის მასშტაბით, მონაწილეობენ მანდატების შემდგომ განაწილებაში, როდესაც ოლქის პარტიულ სიაში არსებული კანდიდატების მიმდევრობის გადაჯგუფება ხდება მათ მიერ მიღებული ხმების მიხედვით. ყოველი პარტია იმდენ მანდატს იღებს ოლქში რამდენჯერაც აღემატება კანდიდატების მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობა საოლქო პარტიულ სიაში მარტივ კვოტას. დარჩენილი ადგილები ნაწილდება ეროვნულ დონეზე დ'ონდტის მეთოდის გამოყენებით.[7] ესტონეთი იყენებს ხმის მიცემის ელექტრონულ სისტემას 2005 წლიდან (იხ. მეტი: http://www.vvk.ee/voting-methods-in-estonia/)

მაკედონია

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	*Sobranie*	123	4 წელი	ბარიერის გარეშე	დ'ონდტის მეთოდი	6 (20 მანდატი ოლქში)

პარლამენტში (Sobranie) არის 120 წევრი, რომლებიც აირჩევიან სიითი პროპორციული წარმომადგენლობით, დახურული სიებით, ოთხი წლის ვადით, ხოლო 3 ადგილი გარანტირებულია დიასპორის წარმომადგენლებისათვის ასევე ოთხი წლის ვადით. ქვეყანა დაყოფილია ექვს 20 ადგილიან საარჩევნო ოლქად. სამართლებრივი ბარიერი პარლამენტში შესასვლელად დადგენილი არ არის. ხმების დათვლა ხორციელდება დ'ონდტის ფორმულის გამოყენებით. კანდიდატების სულ მცირე 30 % უნდა იყოს განსხვავებული სქესის.[8]

პორტუგალია

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები

[6] http://www.koda.ee/index.php?id=11778

[7] OSCE/ODIHR შეფასების მისიის ანგარიში 19-21 იანვარი 2015, ესტონეთი, საპარლამენტო არჩევნები, 1 მარტი 2015, გვ. 3, წყარო http://www.osce.org/odihr/elections/estonia/139566?download=true

[8] http://www.electionguide.org/elections/id/2781/#_ftn1

			წევრთა რაოდენობა				
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკა[9]	*Assembleia da Republica*	230	4 წელი	ბარიერის გარეშე	მარტივი კვოტა, დ'ონდტის მეთოდი	22 (2-47 მანდატიანი ოლქები)

რესპუბლიკის საბჭოში 230 წევრია, რომლებიც აირჩევიან სიითი პროპორციული წარმომადგენლობით, დახურული სიებით, ოთხი წლის ვადით. მანდატების განაწილება ხდება დ'ონდტის ფორმულით, ხოლო თითოეულ ოლქში არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა არის ოლქის მოსახლეობის პროპორციული. პორტუგალია დაყოფილია 18 საარჩევნო ოლქად. დამატებით არსებობს ორი საარჩევნო ოლქი - მადეირა და აზორის კუნძულები, ისევე როგორც ორი ოლქი საზღვარგარეთ ხმის მიცემისთვის, რაც ჯამში შეადგენს 22 საარჩევნო ოლქს. ფორმალური ბარიერი პარლამენტში ადგილების მოსაპოვებლად დადგენილი არ არის, თუმცა „ბუნებრივი ბარიერი" მაინც გამოიყენება მრავალმანდატიან ოლქში გასანაწილებელი მანდატების რაოდენობიდან გამომდინარე.[10]

ბულგარეთი

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა[11]	*Narodno Sabranie*	240	4 წელი	4%	ჰერის კვოტა	31 (4 - 16 მანდატი ოლქში)

1991 წელს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კონსტიტუციის მიხედვით ბულგარეთი არის საპარლამენტო რესპუბლიკა. პარლამენტი ერთპალატიანია და შედგება 240 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით.

[9] http://europa.eu/about-eu/countries/member-countries/portugal/index_en.htm
[10] OSCE/ODIHR შეფასების მისიის ანგარიში 24-26 ივნისი 2009, პორტუგალია, საპარლამენტო არჩევნები, 27 სექტემბერი 2009, გვ. 3, წყარო: http://www.osce.org/odihr/elections/portugal/38231?download=true
[11] http://www.government.bg/cgi-bin/e-cms/vis/vis.pl?s=001&p=0159&n=000004&g

ეს 240 დეპუტატი აირჩევა პროპორციული სისტემით 31 მრავალმანდატიანი ოლქიდან. ოლქებში ასარჩევ წევრთა რაოდენობა საარჩევნო კომისიამ დაადგინა 2011 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით, სადაც მანდატების მინიმალური რაოდენობა ოლქში უდრის ოთხს.[12]

პარტიებისა და ბლოკებისთვის პარლამენტში შესასვლელი ბარიერი შეადგენს ნამდვილი ხმების ოთხ პროცენტს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო დამოუკიდებელმა კანდიდატებმა უნდა გადალახონ მხოლოდ საარჩევნო კვოტა ოლქის დონეზე. საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს ერთი პრეფერენციის შესაძლებლობასაც. იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველი არ გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, პრეფერენცია ითვლება სიით პირველი კანდიდატის სასარგებლოდ. პრეფერენციული ადგილის მოსაპოვებლად კანდიდატმა უნდა მიიღოს იმ ამომრჩეველთა სულ მცირე 7% მხარდაჭერა, რომელთაც ხმა მისცეს მის პარტიულ სიას.[13]

ფინეთი

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	*Eduskunta*	200	4 წელი	ბარიერის გარეშე	დ'ონდტის მეთოდი	14 (6-დან 33-მდე ადგილი ოლქში)

ფინეთის რესპუბლიკის პარლამენტი, რომელსაც ფინურად ეწოდება Eduskunta, ხოლო Riksdag შვედურად, შედგება 200 წევრისგან, რომლებიც პირდაპირი წესით აირჩევიან საყოველთაო კენჭისყრით ოთხი წლის ვადით.

პარლამენტის წევრები აირჩევიან პროპორციული წესით 14 არათანაბარ მრავალმანდატიან და ერთ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში - შვედურად მოლაპარაკე ალანდის კუნძულებზე. პოლიტიკურ პარტიებსა თუ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს უფლება აქვთ წარადგინონ კანდიდატები ანდ კანდიდატთა ნუსხები. პარტიებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საარჩევნო ბლოკები, ხოლო საინიციატივო ჯგუფებს შეუხლიათ წარადგინონ ერთიანი სიები. სიები ღიაა და ამომრჩეველი ხმას აძლევს უფრო ცალკეულ კანდიდატს აძლევს ვიდრე პარტიულ სიას.

მრავალმანდატიანი ოლქის ადგილები ნაწილდება პროპორციული წარმომადგენლობის უმაღლესი საშუალოს გამოთვლის გზით, დ'ონდტის მეთოდი. პარტიები, რომლებიც გაერთიანდნენ ბლოკში აღიქმებიან ერთ სუბიექტად ისევე როგორც საინიციატივო ჯგუფები, რომელთაც ერთიანი სია წარადგინეს. არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული ბარიერი ადგილების განაწილებაში მონაწილეობის

[12] OSCE/ODIHR არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული მისიის საბოლოო ანგარიში, ბულგარეთის რესპუბლიკა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, 5 ოქტომბერი 2014, გვ. 5, წყარო: http://www.osce.org/odihr/elections/bulgaria/133571?download=true

[13] იქვე

მისაღებად, თუმცა დ'ონდტის მეთოდის გამოყენებამ თავისთავად წარმოქმნა დეფაქტო ბარიერი ოლქის დონეზე - რომლის გადალახვაც მცირე პარტიებს შეუძლიათ საარჩევნო ალიანსების შექმნის გზით. ერთმანდატიანი ოლქის მანდატის მინიჭება ხდება უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის გამოყენებით, რომლის პირობებშიც ადგილის მინიჭება ხდება იმ კანდიდატისთვის ვინც მიიღო სხვებზე მეტი ხმა ოლქში.[14]

ისლანდია

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	*Althingi*	63	4 წელი	ბარიერის გარეშე/5 %	დ'ონდტის მეთოდი	6

ისლანდია საპარლამენტო რესპუბლიკაა. პარლამენტი (*Althingi*) არის ერთპალატიანი ორგანო, რომელიც შედგება 63 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან ოთხ წელიწადში ერთხელ. საპარლამენტო არჩევნებისთვის ქვეყანა იყოფა ექვს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქად. პარლამენტის 63 წევრი აირჩევა პროპორციული სისტემით, სადაც 54 მანდატი ნაწილდება საოლქო დონეზე ბარიერის გარეშე, ხოლო დარჩენილი ცხრა ადგილის განაწილება ხდება ეროვნულ დონეზე იმ პარტიებს შორის, ვინც გადალახა 5%-იანი ბარიერი. ეს ცხრა „დამაბალანსებელი ადგილი" არის ერთგვარი საკომპენსაციო მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროპორციულობა ეროვნულ დონეზე.[15]

ლატვია

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	*Saeima*	100	4 წელი	5%	სენ-ლანჟეს მეთოდი	5

[14] http://electionresources.org/fi/

[15] OSCE/ODIHR არჩევნებზე დაკვირვების მისიის საბოლოო ანგარიში, ისლანდია, საპარლამენტო არჩევნები, 27 აპრილი 2013, გვ. 4-5, წყარო: http://www.osce.org/odihr/elections/103053?download=true

ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტი, Saeima, შედგება 100 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი წესით, საყოველთაო არჩევნების საფუძველზე, ოთხი წლის ვადით (ვადა მცირდება რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შემთხვევაში სამ წლამდე, როგორც მაგალითად 2011 წელს). პარლამენტში ადგილების განაწილება ხდება პროპორციული სისტემით, სენ-ლანჟის მეთოდით ხუთ მრავალმანდატიან ოლქში. ამომრჩევლები ხმას აძლევენ ოლქში წარდგენილ პარტიულ სიას და უფლება აქვთ მიუთითონ პრეფერენცია („+“ ნიშნით) სიის შიგნით ან პირიქით გადახაზონ რომელიმე კანდიდატი. კანდიდატისთვის მიცემული ხმების რაოდენობა უდრის პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას გამოკლებული იმ ბიულეტენების რაოდენობა, სადაც მისი სახელი გადახაზულია და ამას დამატებული ის ბიულეტენები, სადაც პრეფერენცია მის სასარგებლოდ იქნა მინიჭებული. იმისათვის, რომ ადგილების განაწილებაში მიიღოს მონაწილეობა სიამ უნდა მოიპოვოს ნადვილი ხმების სულ მცირე 5% ეროვნულ დონეზე.[16]

მოლდოვა

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	*Parlamentul*	101	4 წელი	3%, 6% და 12%	ჰეირის კვოტა	1

101 წევრიანი ერთპალატიანი პარლამენტი აირჩევა პროპორციული წესით ერთ მრავალმანდატიან ოლქში, ოთხი წლის ვადით. კანონის მიხედვით, იმისათვის, რომ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდეს, აუცილებელია რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ერთი მესამედის მონაწილეობა. სხვა შემთხვევაში განმეორებითი არჩევნები ტარდება ორი კვირის ვადაში ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობის მონაწილეობის მოთხოვნის გარეშე. პარლამენტში ადგილების მოსაპოვებლად დაწესებულია სამპროცენტიანი ბარიერი დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის, ექვსი პროცენტი პარტიებისთვის და 12 პროცენტი საარჩევნო ბლოკისთვის, რომლიც შედგება ორზე მეტი პარტიისგან.[17] დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის დაწესებულმა ბარიერმა გამოიწვია ის, რომ არც-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი არ შესულა პარლამენტში და მხარდამჭერთა სიების შეგროვების ვალდებულებასთან ერთად და სხვა სარეგისტრაციო პროცედურებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი კანდიდატები არახელსაყრელ პირობებში არიან.

[16] http://electionresources.org/lv/
[17] http://www.electionguide.org/elections/id/2652/

თურქეთი

საარჩევნო სისტემა	პოლიტიკური სისტემა	საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება	საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა	მოწვევის ვადა	ბარიერი	მანდატების განაწილების ფორმულა	ოლქები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა	საპარლამენტო რესპუბლიკა	Turkiye Buyuk Millet Meclisi	550	4 წელი	10%	დ'ონდტის მეთოდი	79

თურქეთის ერთპალატიანი პარლამენტი შედგება 550 წევრისგან. ისინი აირჩევიან ოთხი წლის ვადით, პროპორციული საარჩევნო სისტემით 79 მრავალმანდატიან ოლქში პარტიული სიებიდან და დამოუკიდებელი კანდიდატებისგან. მანდატების მოსაპოვებლად პარტიებმა უნდა გადალახონ 10%-იანი ბარიერი და სულ მცირე დ'ონდტის ერთი კოეფიციენტი, იმ ოლქში, რომლიდანაც ისინი აირჩევიან. ადგილების განაწილება ხდება დ'ონდტის მეთოდით და კანდიდატები მანდატებს იღებენ პარტიულ სიაში არსებული თანმიმდევრობის მიხედვით.